



მათრასი

და სვლამური

№ 25

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

30 წლის იუბილეს გამო.



(წინეთ) ნატალია მერაბის ასული
საიუბილეო ექსპრომიტი ნატოს.

ქართული სცენის მშვენიერებაც,
ანდამატო, მარგალიტო,
კიდევ დიდხანს გვიღუღუნე
ჩვენო მტრედო ჩვენო გვრიტო.

გვითამაშე კვლავ „ხანუმა“
გაიძვრა მაქანკალი.
პარიზელი „მადამ ფროშარ“
უტიფარი – ქუჩის ქალი.

ქართულ სცენას შეაღიე
შენი ღონე, შენი ძალი,
შენს როლებში უცილო ხარ,
არ გყავს ტოლი და ბადალი.



გაბუნია-ცაგარლისა (ახლა)

მეძნელება შენი ღვაწლი
შე სავეებით გამოვხატო,
არ გჭირია ქება-ხოტბა
ჩვენო „ხანუმა“ ჩვენო ნატო.

აბ. წულაძე.

ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის იუბილეს გამო.

ქართულ სცენის მსახურთ შორის
მოციმციმე ნათელ ვარსკვლავს,
მეც შორიდან სალაშს ვუძღვნი:
მოწიწებით დავეუკრავ თავს!

ვინც „ხანუმა“ დაგვიხატა,
მასთან ტიპი სხვაც, მრავალი,

მით სამშობლოს წინაშე მან
გაღიხადა თვისი ვალი.

გულ წრფელსა და ნაყოფიერს
ოცდაათი წლის სამსახურს
იგი სწირავს ქართულ სტენას,
ამ თვისს სატროსს! ამ თვისს ჩანგურს..

სწირავს.. ნაცვლათ რაღა რჩება?
ხალხის გული მოგებულო,
და უკვდავი იქვე ძეგლი,
ხელთუქმენლად აგებულა!

მსახიობი ამას ჰქვია,
რომ დახატოს ხელთუქმენლი!
მით მოჰხიბლოს იმან ყველა,
შესალოს საქმე, ეგზომ ძნელი!

და მან შესძლო აგი საქმე,
სრულად, უმეტ-ნაკლებობით.
საამისო ნიჭითა და
მასთან შრომა-გამრჯელობით!

დღეს ღვაწლ-მოსილ მოღვაწის წი
წარსდგა ერი, მადლიერი,
რომ ნაშრომი დაუფასოს,
უთხრას სიტყვა, შესაფერი!

მე მჯერა, რომ ერი, მთელი,
თავის მიზანს არ უმტყუნებს
და თვის მსახურს მის ნამსახურს
დღეს სხვა სახით დაუბრუნებს;

საპატიოთ მოიკითხავს
ამ დიდებას და განძს თვისას,
ქართულ სტენის გულ-წრფელ მუშაკს,
გაბუნია-ცაგარლისას!

ამით წარსულს დაუფასებს,
მომავლისთვის ხალხის მოჰგვრის,
და მოღვაწეც დროთა ბრუნვის
სიძიმის ქვეშ ქედს არ მოჰხრის!..

6. ზომლიეთელ ..

მუშაკის ინტერვიუ.

ქ-ნ მარიამ ღემურიასთან.

საუბედუროთ, ჩემი სტუმრობა ბევრისათვ ს
რალაც საფრთხობელა შეიქნა! არ ვიცი ვის რა
დავუშავე, ვისი სიტყვა გადავავალდებოდა! პირიქით,
ჩემი ჩვეულებისამებრ კიდევაც ვასუსტებ ზოგიერთ
შთაბეჭდილებათა სიმკაცრეს, ვარბილებე მკვახე და
მოუხეშვე კილოს, ერთი სიტყვით უკველგვარ ღო-
ნისძიებას ვხმარებ ჩემი ინტერვიუ ტკბილი და უწყი-
ნარი გამოვიდეს.

ცხადათ შევატყვე, რომ ქ-ნ მარიამ ღემურიას
არ ესაიამოვნა ჩემი დანახვა, მაგრამ ჩვეულებრივი,

ქართული თავაზიანობა აშკარათ გამოიხატებოდა
მათ ჩემდამი მოპყრობაში

— მობრძანდით, ბ-ნო ეშმაკო, მობრძანდით! ,
აი აქ დაბრძანდით, აი ესეც,.. მომიდგა მეორე
სკამი, დაბრძანდით, დაბრძანდით.

— გამდლობთ, ნუ სწუხდებით ქ-ნო, მე ერთი
სკამიც მეყოფა, ორი რა საჭიროა? ნუ სწუხდებით
თუ ღმერთი გწამთ!

— ჰო მართლა, დალახვროს ღმერთმა, ორი
სკამი დაგიდგით! მიჩვეული ვარ... სტუ. .

— ნუ სწუხდებით ქალბატონო! მე საზოგადოთ
ერთსაც არ ვიდგამ ხოლმე და იმიტომ მო-ვახსენეთ,
თორემ ჩვენში და მით უმეტეს დღევანდელ ხანაში,
არა ერთი და ორი აღამიანი ეტანება ორ სკამზე
ჯდომას.

— ჰო რასაკვირველია, რასაკვირველია! ვისაც
როგორ მოსწონს. სხვა როგორა ბრძანდებით ბ-ნო
ეშმაკო?

გახლაფართ ღვთისა და თქვენის წყალო-
ბით... მაგრამ ჩემი ვითარება რა საკითხავია, თქვენ
როგორა ბრძანდებით, თქვენ?

— მეც გახლაფარ ვერე, ჩვეულებრივით.

— როგორც გადმომცეს დიდი უსიამოვნება
თურმე შეგბედათ ამ „წრისა“ და „სექციის“ თა-
ბაზე? არა?

— უსიამოვნება, ბ-ნო ეშმაკო, ჩვენთვის ღმერთს
დაუწესებია. ისე აიწეწა საქმე, რომ სულსა ვფიცავ
ველარაფერი გამიჩვევია.

— პირიქით, მე გადმომცეს თითქო თქვენ გა-
დაწყვეტილი გაგეცხადებოთ: „ვიდრე „ახალი წრის“
შეცვლილი წესდება არ დამტკიცდება, მანამდე მე
ისევე სექციის წევრათ დავრ. .

— წევრათ არა, თავმჯდომარეთ. დიან თავ-
მჯდომარეთ...

— ევ სულ ერთია, საქმე... .

— როგორ თუ სულ ერთია? მაშ თქვენი აზ-
რით წევრობა და თავმჯდომარეობა სულ ერთია?...

— არა, მე მოვახსენებთ, რომ სულ ერთია იმ
საკმისათვის, რომელ... .

— რას ამბობთ ყმაწვილო, რას ამბობთ? სულ
ერთია საკმისათვის მე წვერი ვიქნები თუ თავმჯდო-
მარე? ამას როგორ ამბობთ? მიკვირს ღმერთმანი!

— თუ არა მომისმენთ რა გამოაკა ქ-ნო! მე
მინდა ვსტუარ, რომ კითხვის გამოარკვევათ სულ
ერთია თქვენ წვერი... .

— უიშე ღმერთო! ყმაწვილო მეც ენაგას ვამ-
ბობ, რომ კითხვებს გამოარკვევა ისე არ შეიძლება
თუ მე თავმჯდომარე არა ვარ და თქვენ კი ამბობთ
სულ ერთიაო.

სწორეთ ცეცხლში ჩავვარდი! იქვინი, ცოდ-
ვილი კაცი ვარ და კინაღამ ვიფიქრე: განგებ სიტ-
ყვის ბანზე აგდებას არ აპირობდეს ჩემი მასპინძელი
მეთქი, მაგრამ არც ისე შორე ვიციხობ ქ-ნ დემუ-
რას, რომ მის შესახებ ასეთი იქვი დიდი ხნით ვა
ბოგინო ჩემს გონებაში. შევეცადე ისევ თავიდან
დაწყებას.

— დღეს თქვენ რომელ ჯგუფში ირიცხებით
ქ-ნ მარიამ?

— „ახალ არსებულში“.

— მაშ სექციის თავმჯდომარეობას დაანებეთ
თავი?

— რაქნა, თავმჯდომარე კი ვიყო და განა სულ
ერთი არ არის?

— როგორ, „ახალ არსებულ წრეში“ თავ-
მჯდომარე ბრძანებით?

— თავმჯდომარე რასაკვირველია!

— მერე ტოროშელიძე და სვირელი???

— ტოროშელიძე რა შვაშია?

— როგორ თუ რა შვაშია? შვაში თუ არიან
სწორეთ ისინი არიან. „ახალ შობილი“ ხომ იმათი
ახალშობილია და ნუ თუ თქვენ თავმჯდომარეთ
აგირჩის?

— მაშ ვის აირჩევდნენ ყმაწვილო?

— ღმერთო ჩემო! თქვე დალოცვილო განა არ
გახსოვთ რაგებს სწერდნენ თქვენი თავმჯდომარეობის
შესახებ? ხანდისხან მწოლიარე თავმჯდომარეობსო,
ხან მძინარეო და რა ვიცი რამდენი რა?

— მერემ რა ვუყოთ! ეს ყველაფერი საქმის სი-
ყვარულით მომდიოდა. როცა უძლევათ ვიყვიე მწო-
ლიარე თავმჯდომარეობდი, როცა-ეე მოქანცული,
მაშინ მძინარე და ასე საქმეს ხელიდან არ ვუშვებ-
დი.

— კარგი, ეს რასაკვირველია საქმის სიყვარუ-
ლია, მაგრამ ისაც ხომ ცხადი იყო, რომ სექციის
რეორგანიზაციაც და „ახალ შობილი წრის“ დაარ-
სებაც უმათერესად თქვენს წინააღმდეგ იყო მომა-
რთული?

— რას ამბობ ყმაწვილო, რას ამბობ?! ვის
წინააღმდეგ იყო მიმართული განა ახლაც საექვოა?
თქვენგან მივივრის, სწორეთ თქვენგან.

მათლაც, დღეს ხომ აშკარაა ვის წინააღმდეგ
იყო თურმე მიმართული ცნობილი „სვირელიადა“?!
შეც გადავწყვიტე ინტერვიუსთვის მშვიდობიანათ მო-
მელო ბოლო.

— მე, გარწმუნებთ, ძლიერ სასიამოვნოთ დამ-
რჩა ეს ამბავი! ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენ წი-
ნააღმდეგ ასე რიხიანათ დაწყებული იერიში, თქვენ-
და სასარგებლოთ გადაწყდებოდა!

— მაშ ვის აირჩევდნენ თქვენი აზრით?

— ეს კი აღარ ვიცი სწორეთ, და თუ ეს ასეა
სასაცილო მდგომარეობაში კი ჩაკვივოდნენ საწყ-
ლები თქვენ რომ თქვენი კატეგორიული განცხადე-
ბა: „არ შევალ წრეში, ვიდრე შეცვილილ წესდებას
არ დამტკიცებნო“ სისრულეში მოგვეყვანათ.

— კიდევ იმიტომ მომიღბა გული. კეთილი
საქმე, მუშა ხალხის საქმე იღუპებოდა!.. ესეც არ
იყოს მე არა ვარ იმ აზრის, ერთხელ რაკი ვთქვი
უნდა უთუოდ ასე მოვიკცეო. მე ყოველთვის ისე
ვამბობ და ისე ვიქცევი, როგორც ჯობს ხოლმე...

— სასიამოვნო ტაქტიკაა, ჯოჯოხეთის ფიციკა!
უკაცრავად, დაგაბკოლეთ, ალბათ კრებაზე სადმე
მიეჩქარებოლით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, გმად-
ლობთ პატივცემისა და დახმარებისათვის.

— რას ამბობ ყმაწვილო, რის მადლობა, ჩვენ
ბისეთი მიუდგომელი ხალხი ხომ არავართ, სულ მდა-
ალ წრეში ვტრიალებთ. მშვიდობით! იმედია ხში-
რად გვინახულვებთ..

— ნახვამდის! ვეცდები.

ეშმაკი.

* * *

ცელქო ნიავო, ნუ ნუ უბერავ!
ნუ გააშიშვლე მდელიო, მთა ბარი...
ნუ ხდი მიდამოს ზურმუხტის კაბას,
ნუ ხარ უგულო, გულ შესაზარი..

ხომ ხედავ ბულბულს არ მოეწონე,
მერცხალმა უკეე აიკრა ბარგო.
შენის სისინია ჩაქტა მიდამო
ათსანირათ გულ მონაქარგი...


შეგებით მოხარულ ხვევრდის წალკოტს
კაეშნის ბადე გადაეფარა...
ცქვიტო ნიავო, შენი ნანინა
ყველას ეწყინა, ყველას ემწარა..

შეც გულს მისერავს შენი სულის თქმა...
ნუ, ნუ უბერავ შენ გენაცვალე!..
მშვენიერება ტახტზე დამჯდარი
სამშობლო მხარეს ნუ აცალიე...

თორემ ფიციკე ღმერთს გული დამეწვის,
თვალს ცხარე ცრემლი ჩამოვარდება,
ვერც იმას ვეტყვი, ცელქო ნიავო,
რომ გულს იმედი აღარ ჩაკვდება...

მაშ ნუ უბერავ გემულარები,
შემიბრალევი შენ გენაცვალე,
მშვენიერება ტახტზე დამჯდარი
სამშობლო მხარეს ნუ აცალიე!..

გ. მალაქიაშვილი



ორი ეძმაკი.

ქორე. (ძლიერ აღაფრეხებული და აღტყისებული ჟღერებით წინაშე ფატსა სდებს და საამარ ფეხზედა დგება).

მაშ სულსა, ჯოჯოხეთურსა, რათ უნდა ქვეყნათ ვლინება, თუ ლხინში ფიზიოლოზს, ქირში კი ჩასთვლემს და ჩაეძინება?

მაშ ფრთეთა მისთა, შავბნელთა, რათ უნდათ ძალა გზნეული, თუ მარტო ლხინში ნაფარდობს ქირში ზის ვითა სნეული?

მაშ თვალნი მისნი, მზაკვარნი, დაბრმავდენ უკეთესია, თუ მხოლოდ ლხინში ხედავენ, ქირში ვერ დაუკვსია.

მაშ ყურნი მისნი, აყურნი დაყრუვდენ სათაქილოთა, თუ კარგათ ვეღარ არჩევენ სამტერ-მოყვარე კილოთა.

მაშ ენა მისი, მგესლავი პირში დასთრევდეს მჩვარათა, თუ მარტო ნექტარს დაანთხევს, შხამი გაუშრა ცვრათა!

მაშ მკლავნი მისნი, სამკლანი გახმენ ცეცხლთ დასადებათა, თუ საქმეს, საჯოჯოხეთოს, უფროსხიან თავსადებათა.

მაშ ის მათრახი, კულ-მწარე თავგებსაც დაუტყვევრია, თუ სიტკბოს ეტრფის, მწარეს კი გაურბის მისი წვერია!..

მაშ

ზირგ. (დამშვიდებით) რამბზევია შე კაცო, იაზონიასთან საომრათ ხო არ ემზადები?!

ქორე. (აღწუნარდგება) რას ამბობ, შე დალოცვილო! დღე ერთია და მუჯღუგუნე კი ათასი უნდა მოგხვდეს! ათასი საწყენი, ათასი სავალალო!

ზირგ. დრამატიული საზოგადოების გადაწყვეტილებაზე ამბობ ალბათ, არა?

ქორე. სხვაზე მაშ ვისზე უნდა ვამბობდე? გაგონილა კაცო ასეთი ოინბაზობა?

ზირგ. კარგი ერთი თუ ძმა ხარ. „კარგი რომ სკირდეს გიკვირდეს, ავი რასაკვირველია“ო ხომ გავიგონია? ყველასაგან ყველაფერს უნდა მოელოდე, გესმის? ყველასაგან ყველაფერს!

ქორე. არა მჯერა! მაშ ეს თუ ეგერა ბნი სვ, სვირელისაგანაც უნდა მოველოდე «იკა—მეგობრის» სამედიატორო სამართალში გამოწვევას, არა?

ზირგ. ეს ერთი გამოწვევია, რა ვუყოთ, НХТ правила безъ исключения! სამაგიეროთ დრამატიული საზოგადოების გამგეობა არასოდეს არ მოგვანხევებს ამ ანდაზას.

ქორე. ჰაი, ჰაი, დროებავ?! ამას სხვა დროს ვერ იზამდენ, მაგრამ...

ზირგ. სწორეთ ვერ იზამდენ, თორემ „არ იზამდენო“ ამის თქმა ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელია. მართალი თუ გინდა ძნელიც კი იყო მათგან სხვა გვირი გადაწყვეტილების მოთხოვია...

ქორე. ვითომ რატომოა???? ა???

ზირგ. იმიტომ, რომ... იმიტომ რომ... ერთი სიტყვით იმიტომ რომ... ასე ვთქვათ მქიდრო და მოკიდებულეობა აქეთ და...

ქორე. როგორ? ვის? ვისთან რა დამოკიდებულობა?

ზირგ. დიახ, მქიდრო, სამკვდრო-სასიცოცხლო დამოკიდებულება...

ქორე. ვის კაცო, გამგეობას „ახალ-წრესთან“? ა?

ზირგ. აქაც არის, დამოკიდებულება, რასაკვირველია არის, მაგრამ აქ უფრო სულიერი კავშირია...

ქორე. მაშ ვისთან? თქვი რალას იპრანქები შე მამა ცხონებულო!

ვარგ. ეტყვი, მოიცა, აჩქარებით ჯერ იმით რა გააკეთეს, რომ ჩვენა ენახოთ ხერი! საქმე იმაშია, მშობილო, რომ „ახალი წრის“ გამარჯვება „ღრმატიულ საზოგადოების“ გამგეობაში, მისი გონიერ

რი ტაქტიკის ნაყოფია. კაცი, გამოსულხარ და იძახი: „მუშები, მუშები, მუშებო.“ შე დალოცვილო ხომ იცი დრამატიული საზოგადოება მიინცა და მიინც არასოდეს არ ეტრფიალებოდა მუშებს?

მეორე. მაშ რა უნდა ექნათ?

პირველი. რა, ჩემო ძმაო—მეგობარო და ის, რომ საჭირო იყო უმთავრესი პოზიციების აღება. განა რა არის დრამატიული საზოგადოება? ის მართლაც რომ არარაობა არის და ისახარის თქმისა არ იყოს, არარაობასთან ბრძოლა ძლიერ ძნელია. სამაგიეროთ „გამგეობა“ არარაობისა კონკრეტულს სახიერესს წარმოადგენს და რომ კული მისი ხელში გქონდეს საჭიროა სათავდა-აზნაურო მხრიდან მოუარო. ამისათვის უნდა აიღო და ვაგამაგრო ორი პოზიცია: სათავდა-აზნაურო დებუტატთა საკრებულო და სათავდა-აზნაურო ბანკი. მორჩა და ვათავდა!

მეორე. უჰმუუუუუ!!!

პირველი ილიანს ყოველგვარ საქმეში წინა-ხედულობა არის საჭირო „ახალმა წრემ“ დროზე დაიჭირა თადარიგი და ორავე პოზიცია ვაგამაგრა. რაკი ეს ორი დაწესებულება ხელში გაქვს და აქედან ტელეფონით დაუძახებ წარჩინებულ გამგეობას: „ციც“!!! საქმე ვადაწყვეტილია!

მეორე. აჰააააა!!!

პირველი. მაშ შენ თითონ ვანსაჯე, რა გასაქანი აქვს? ბავშვითვისაც კი ცხადია, რომ ქართული სასცენო „ხელოვნება“ დღეს დღეობით თავდა-აზნაურთა სუფრის ნამცეცხებით იკვებება. თუ შეიძლება ასე ითქვას, ის ერთგვარი პარაზიტია თავდა-აზნაურობის გეგმზე და თუ ამ უკანასკნელის ჰანგზე არ იმღერებოდა, განა წარმოსადგენია მისი სიციცხლე? ზუბრთა ნასუფრი მისი „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხია.

მეორე. დაააააა! მესმის, მესმის!!!

პირველი. მერე ვინ მიიყვანა ამ ყოფამდე, ამ დამამკირებელ „ნახლენიკობამდე“ ქართული ხელოვნება? ვინ და იმ გამგეობამ, რომელიც უხსოვარ დროიდან ასე ერთგულათ იგერიებს მუშათა იერიშებს თეატრში შესასვლელათ მოტანილს და ხელგებ გაწვდილი ბანკის კარებისაკენ იცქირება. ვინ და იმ საზოგადოებამ, რომელიც ჩვენს ეროვნულ აღორძინებას გადაგვარებულ თავდა-აზნაურობის ქვა კუთხედზე ამყარებს, ცხოვრების ვაკეფთილი მათთვის ყოველთვის უსარგებლოთ ჩაივლის...

მეორე. არა, დასწყველის ღმერთი და ეშმაკი! კაცო საქმე მართლაც რომ ორ პოზიციაზე ყოფილია!

პირველი. ორათ ორზე! ბანკი და საკრებულო, საკრებულო—და ბანკი!

მეორე. მერე სექცია რატომ ვერ მიხვდა ამას?

პირველი. მიხვდა, მაგრამ განა მარტო მიხვედრა ხომ არ კმარა? ამ პოზიციების აღება ერთბაშე ძნელია. მუშათა და მათ შორის ისეთი «დრამა უფესკრულია» და იმ უფესკრულზე ისეთი ბეწვის ხიდი ძვეს, რომ ბანი სვ. სვირელის მოხერხებაა საჭირო მასზე მშვიდობით გასასვლელათ. და აბა ყველასაგან ხომ არ მოითხოვება ეგზოპლანეტური «გამოცდილება?»

მეორე. მაშ რაღას ვჯავრობ აღარ ვიცი!

პირველი. ვასაჯავრებელი და საწყენი აქ ისაა, რომ ეგრეთ წოდებული „სახალხო სახლიც“ თავდა-აზნაურთა საკრებულოს ვანყოფილებათ გადააქციეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათრახი პატივცემულ თეატრალურ გამგეობას ეკადრება და არა თავდა-აზნაურობის ტაბლად შემაქცეულ დრამატიული დასის გამგეობას.

მეორე. ქეშმარიტათ!

მასკა.



მესტვირული.

ვის რა უნდა იგი თქვას,
ეს მე არ მეწყინება...
ქება ვერ ვამაქანებს,
და ვერც ხშირი გინება;
შევეწვიე მუქარას
ყურს აღარ ეტკინება,
არ მსურს კოორი ვეძებო,
მისი წარმოდინება,

მხოლოდ, ჩემთვის ხანდისხან
გულში ჩამეცინება!

ვიცნობ შე ამ ქვეყანას,
უყვარს აყიყინება,
მაქვს, არ აფევე ფეხის ხმას
საყოფი მოთმინება:

ვიცი ყბელი იყბედებს
და არ დაეძინება,
სანამ შეილათ აქლემი
ჯორს არ შეეძინება?!?!
არ აფევები ამ ფერხულს
მაქვს ამის მოთმინება,
მხოლოდ შორით ვუყურებ,
და გულში მეცინება.

თუ ბატონთან შეძრომა
ვინმემ კეთილ ინება
და მუხლების თავებით
მისკენ წარველინება,
რომ აღდგლი იშოვოს,
ტირის ეხვიზინება,
არ ასვენებს სურვილი,
მცირელი წარჩინება,
ეს მისი სიგლახება, —
ქკუის გაიჩინება,
თორემ ვის რა აკლდება,
ვის რა შეეძინება?!
თუც ეს სატირალია,
მე მაინც მეცინება.

მომინდება ხანდისხან,
სტივირზე წალიღინება,
მე იქ ვპოვებ სიამეს,
მაშინ მომელხინება.
მარა ეს ბევრს ახელებს,
ჯაგრობს, სულ იღრინება,
კბილ დამძვრალი მგელივით,
სურს და ვერ იკბინება.

ცხერხებათ მარტოკა
უშნო აღროკინება, —
და რო ვუტკვერ შორიდან,
გულში ქე მეცინება.

ვიცი ვინმე ასული,
უყვარს ატიტინება,
ხელობაა იმისი,
ნემსის ვაკიტინება.
(ქქვეში კი ვარ, არ შეჯერა,
როგორ ეცოდინება?!).
რახანია ვიცოდო,
მისი გამოტვინება,

კი... არ და

ზოგჯერ დაპიტინება.

*)
მას ეთინათინება.
ასეა თუ ისეა
აქაც ქე მეცინება!

ვის რაუნდა იგი თქვას,
თუნდ ქება, თუნდ გინება,
მე ყურს არ გავაქანებ
მხოლოდ გამეცინება!!

ბლიკვაძე.

გურული სცენა.

ღების მიწერ-მოწერა.

I.

ძილას და ღვიძილში სახსოვარო ძვირფასო და
გერინკა!

ზირეულათ მოკითხვას მოჯახსენებ და ღმერთს
ესთხოვ შენს კარგათ ეოფხას. სხვა, იმედია ჩემს ამავეს
იკითხავ. შე ჭერ ქე ვარ კარგათ, მარა შენი უნახაობა
ძალიანი მაწყნებს. კი ვფიქრავდი ამ ადგაში გნახავდი
და შენს ქორწილს მაწუქდი, მარა არ ვიცი რეისა არ
ქენი. მართალია კი ქალიშვილი ხარ, კაცი^ღ დედაშის
შვილი, მზითიბ ბეერი გაქ, ხელობატ ეორიფელი იცი:
ჩუღქის ქსოვა, ზოლსაშოკის კერვა, შადისტობა, წერა
და კითხვა. მაშინებიც გაქ, და გიტარაც, მარა ძალიანი მი-
კვირს, რამ შენი მოსაწონი არ ვიცი გავიწყდა. გაყერ-
ეეჩებუდი ვარ, ეოლი კაცი რაფერ დეიწუნე? ხომ იცი
დაო, ახლა სხვაფერ^ღ დროა? ემაწვილ კაცს არ გეუობი,
არ გამოეობი, არ დედაშაბიკები, სახლში არ მიიღებ
იტეიან ჯაღაბა, ნადირა და შექტენებელიაო.
გეუობი და გეღანძღები იმეფერ ვინცხას შეგწამებენ,
რომ კეკელი გული მოგტეშებება. რაჯ არ იცი რამდენი
გეიღანძღა, რამდენს მიეჭრა თავი და ცოცხლითაი დეი-
მარა. ქალიშვილი ქალი ისე გასაფრთხილებულია, რა-
ვაც საფსე ჭიჭე შენ იწე^ღები: არ მიეფარს და რაფერ
წაგვეო^ღ შე აბლაჯე უწინ სიყვარული რაფერ იქნება?
ე^ღთად რომ იცნოფრებთ კაცი იმეფერი ნუსხა, რომ შე-
გიეფარდება^ღ კე^ღრას, მისი გულიხა მიკეტებო. ეორიფე-
ღობამდი მომწონსარ, ეორიფეღობამდი მიეფარხარ, მარა
მაი ერთი არ მომწონს შენი. რა ვიცი, იქნება შე ვდღე

*) შემწელა ძმობას ფიციავ
ცენზურის აღდგინება,
ამ ერთი სტრუქონისთვის
კალმის ვალიტინება,
მაგრამ თვით ბელუბელმა
ეს ამგვარათ^ღინება...
ასეა თუ ისეა
ნულარც ეს გეწყინება.

ეშმაკი.

ბოდე, მარა მინც ასე ვფიქრობ, რომ არ არის კაი, ამ აღების კვირამი ვინცხას კი უნდა წაუფლადი. ჩემი თავი გუნცვლას, ჩემგან ნუ გეწინება და რაგვც შენი მოსიუყარულე დაი ისე გწერ: ქალიშვილი ქალი ოჯახში ჭირია, ჭირისუფავლის გამწარებელია, მისი მიზეზით ოჯახს დიდი ხარჯიც აქ და ვერც შეისვენებს. ქალიშვილიან ოჯახს უმაწოდები ისე ესევე, რაგვც ბუს ჩიტები: ზოგს ასვი, ზოგს აჭამე, ზოგს ხარდი ეთამაშე, ზოგს კარტი, ზოი ხაჭაპურს მოგვიგებს, ზოი ქქისს, ზოი ბლუხას, ზოი ჩლუქს, შენც ქე გეიქირდები, გადახობი იგინის სამსხურს და ოჯახიც ქე დეიფსო. ჩემი რჩევა აგია—ნურც ოჯახს აფსებ, ნურც შენდები შინ. კაი კი ხარ, მარა ქვეყნის უკეთესი არც შენ ხარ და ელოყავი შენი დასაწეი და გასაქირდავი არაა. ერთი ბიჭი შენც მოხახე, წაეკვი და შევე იცოდე ჩემს სულს ლოცვ. ასე შენი ჭარამე:

ეს წერილი ჭრელაია,
 შენთვის მომიწერაო;
 არ გეწინოს გუნცვლე
 შენთვის რაც მიჩვეიაო
 შენი მოსიუყარულე და
 ფაცია კუტუბიძისა.

შ ა რ ა დ ა.

დავიწყით ესე შარადა
 ქორონიკონი „განიითა“
 უკულოთ, რადგან კუდიოურთ
 ფართე გამოვა განითა.

შემდეგ მონახეთ აყრილთა
 მცენართ ზოგადი სახელი...
 (თუ თავსა მოკვეთ, სასაქმო
 არ დარჩეს დასამრახველი).

ამგვართ, შარადისათვის
 შზადა გვაქვს ორი ნაწილი,
 მესამე, მუსიკალური
 ნოტია. ერთობ ხმა ტკიბილი.

მაგრამ მას ასო ხმოვანი
 არ დასქირდება ამ ხანად,
 მშშ მოაკილეთ, რომ გვარგოს
 შარადის გამოსაყვანათ.

შემდეგ მონახეთ ნაყოფი
 სურნელი, კვითელ-ფერადა,
 საამო იცის მურაბა
 (თუ გიძევს კოვზის წვერათა)!

მასაც ანბანი პირველი
 ვერ ამკობს ვერაფერათა
 და ნურვის დაეზარება
 მოსაწყვეტ-მოსაქრათა.

სანაცვლოდ ჩიტსა მოგიყვანთ
 პატარას, ნაცრის ფერასა
 მინდორში უყვარს ცხოვრება,
 (იქ ემალება ძერასა)!!

ჩვენთან კი ამა ონით
 ვერ გაღურჩება წერასა,
 მოვაძრობთ ბოლო მარცვალსა
 მაგიერს გვკადრებს ვერასა;

ეს ვერე. ახლა მივიდეთ
 პატარა ორმოს პირათა,
 (საშიშარია ეს ორმო
 მუნ მიდის კაცი ძვირათა)!

უგრძნობი არსი ჩაჯდება
 იმა ორმოს ძირათა,
 (მაშინ მას იქა ჩაჯდომა
 არ უჩანს არცა ჩირათა)!

ჩვენც, შარადისთვის მივიდეთ
 მართ ოდენ მხოლოდ პირათა
 და მოვსპობთ ასო, რომელიც
 ორმოსა აკრავს ძირათა.

შემდგომად ქორონიკონი
 გვქირდება ისევ ცალათა,
 პირველათ გამონახული
 სამგზობის განამრავლათა.

აქ უნდა წამოემატოს
 ერთი სახელი კვალადა,
 რაღაც ბოროტი სულია,
 ცხოვრება უყვარს წყალად
 მშიშარებს მოეჩვენებ.
 თმა გაშლილ, ლამაზ ქალათა...
 ამგვარად მთელმა მაშრადამ
 თქვენ წინა მოიკალათა.

რა გამოვიდა? რა არის?
 რაზედ ვიტყვით თავები?
 რისთვის შევსძარით ტყე-ველი,
 და ორმო დასაშვავები?

მივიდეთ სახელ-წოდება
 ერთგვარი მსაჯულდებისა
 რომელსაც ჩვენში, სიმრავლით
 ზღვარი არ დაედებისა,
 რომელიც, თუ კი დაიწყო,
 აღარცა გათავდებისა,
 (საუცხოვო არს მუშტარი
 ქართული განცხადებისა).
 უღირსის ხელში ხშირად
 ცას და ბარს მოედებისა,
 ვასტანს ვიდრემდის რჩეულებს
 ქანცი არ მოედებისა,
 სამაგიეროთ ჩვენია,

სახალხო კანონებისა,
 ვარგებულისა წინ ძლოლით
 დიხაც გამოდგებისა,
 ჩინოვნიკურათ არ ცხარობს
 სიპართლის გულსა წვედებისა
 და სტყუის ვინაც მის ძახილს
 აშკარათ განუდგებისა.

მოგსწვევითო, კმარა რაცა ვთქვი,
 აწ თქვენი იყოს მსჯელობა...
 ეცადეთ არვის დაეტყოს
 სიბრძნის კბილ მოუსვლელიობა.

კოლო.

30 წლის იუბილეს გამო.



მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლასა ხვს და სხვა როლებში

ქიქისე — „ქორ-ოღლში“

ხანუმა — „ხანუმაში“

ქართველი მსახიობი ქალი

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

ჩვენს კურთხეულ სამუშაოში ძნელია ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მუშაობა, მაგრამ მათში ყველაზე უფრო ძნელსა და აუტანელს, თავისი პირობების მიხედვით, ისევე ქართული სცენა წარმოადგენს.

სხვაგან, ციკლად თუ ბევრად ნიჭიერ არტისტებს თუ ჩინებულ ნებეირობით არა, გვარიან პირობებში მაინც უხდება ცხოვრება. შეიძლება ზედმეტი მათ ფუფუნება აკლდეთ, მაგრამ საქმელ-სასმელითა, ბინითა და ტანსაცმლით მაინც უზრუნველყოფილნი არიან.

ჩვენში?

ჩვენში კი სულ სხვაა. ჩვენი სცენის არა თუ საშვალო ნიქის მუშაკები, თვით წარჩინებულნი და

უცილო ნიჭით დაჯილდოებული მსახიობნიც ნახევრად მშვიერ ცხოვრებას ეწევიან. საკმარისია რომელიმე მათგანი ავთ გახდეს, (და ავთ გახდომა ამ პირობებში არც ისე ძნელია!), რომ ის სრულიად უმწეოთ დარჩეს და ქველ-მოქმედთა თავსატეხი შეიქნეს. ამის მაგალითები არა ერთი და ორი გვახსოვს სულ ახლო წარსულიდან და ვვინებ მეტიცა აქ ამხე ლაპარაკი.

და წარმოიდგინე, მკითხველო, ადამიანი, დიას, ხორც შესმული ადამიანი და ისიც ქალი, რომელიც ოცდა ათი წელიწადი განუწყვეტლივ დასტრი-ალებს ქართულ სცენას.

ოც და ათი წელიწადი ქართულ სცენაზე!!!
 განა ეს ცოტა რამ საყურადღებოს ამბობს?
 დიას რომ ბევრს, ძალიან ბევრს! ეს ნათლათ და-ლადებს, როგორც მოუდრეკელ სიყვარულს ქართუ-ლი სცენისადმი, აგრეთვე ერთგვარ თავგანწირვას საჭირო საქმისთვის.

ვინ არის ეს საარაკო აღამიანი?

ის გახლავთ ნატალია ვაბუნი-ცაგარლისა!

როგორც მისი მოკლე ბიოგრაფიიდან ვტყობილობთ, ის 1879 წელს, ე. ი. 18-19 წლის ახალგაზრდა ქალი, შესდგომია მუდმივ მოღვაწეობას ქართულ სცენაზე. ამ დრომდეც, თურმე, იღებდა იშვიათ მონაწილეობას კერძო, საოჯახო სცენებზე, მაგრამ ეს დიდ-ხანს არ გაგრძელებულა.

ნიკიერმა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ამას-

30 წლის აუბილეს გამო.

დეს ესტეტიურ სიტკობება-სიამოვნებას გამოკლდა ამ სანახაობით. ამ როლებში მისი ნიქის სიძლიერე უმაღლეს წერტილამდე აღწევს და ხიბლავს მაყურებელს.

არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ აქ ერთი საყურადღებო ეპიზოდი ნატოს სასცენო მოღვაწეობიდან, რომელიც აღნიშნულია საიუბილეოთ გამოცემულ პატარა წიგნაკში:

„1884 წელს თფილისში ცნობილი რუსის



ხამფერა—„ხათაბალაში“



მადამ ფროშარნი—„ორ ობოლში“

თანავე ფრიად ტკბილი, სასიამოვნო ხმა ადმოაჩნდა, უცებ მოიხვეჭა საპატრო სახელი ქართულ სცენაზე. მოიხვეჭა სწორეთ ის რის მოხვეჭაც კი შეიძლება ჩვენს სცენაზე!

„პირველი ბენეფისი ნატო ვაბუნიას ჰქონდა 1880 წლის 13 იანვარს, მაგრამ ეს ბენეფისი კი არა, ეს ერთი დაუსრულებელი დიდებული სახალხო დღესასწაული იყო“. მოგითხრობს ერთი მის ბიოგრაფთაგანი. აი, ამ დღიდან ვიდრე დღევანდლამდე, ნატო ვაბუნია არ მოშორებია ქართულ სცენას და დღესაც ერთგულათ ეწევა მის მძიმე ჰაპანს.

ვისაც უნახავს ის „ხანუმას“, „ფროშარის“, „ხამფერის“ და სხ. როლებში, ის დარწმუნებული ვარ უდი-

დრამატურგი, ოსტროვსკი ჩამოსულა. ქართული დასი იმ ხანებში ოსტროვსკის პიესას, „შემოსავლიან ადგილს“ ამზადებდა წარმოსადგენათ. ამ წარმოდგენაზე თვით ავტორიც მოიწვიეს თურმე. ნატო ვაბუნია ამ პიესაში კუკუშკინას როლს ასრულებდა. წარმოდგენის შემდეგ, ოსტროვსკი შევიდა სცენაზე და არტისტებს გაეცნო. როცა ნატო წარუდგინეს, როგორც კუკუშკინას როლის ამსრულებელი, ოსტროვსკიმ მას ხელზე აკოცა, ნატომაც სამაგიერო გადაუხადა: გადაეხვია და გადაჰკოცნა ოსტროვსკი. უკანასკნელს ცრემლები მოერია და წარმოსთქვა:

— კავკასიაში მოსვლას კი ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ ამას ვერ მოვიფიქრებდი თუ ჩემს პიესას ქართულ ენაზე ნათამაშებს ენახავდი. და ვგრე

ახლაგზდა მსახიობი ქალი, ასე კარგათ დამიხატავდა კუკუშკინას ტიპსაო“.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნატო ვაბუ-ნია ხშირსა და ენერგიულ მონაწილეობას იღებდა სახალხო წარმოდგენებშიაც, როგორც ავქალის აუდიტორიაში, აგრეთვე ამ ბოლო დროს ზუბალა-შვილის სახლშიაც.

მოგვხსენებთ საზოგადო მოღვაწის ბედი! იშვი-ათი შემთხვევა, მას ბოლო ეამს უსიამოვნება არ-საიდან გაეკრას. ნატოსაც ეგრე მოუვიდა. შარშან-დელ სეზონში, დრამატიული საზოგადოების გამგე-ობამ ის მსახიობთა ოჯახს გამოაშორა ასე ვთქვათ „სათადარიგო რაზმში“ ჩარიცხა. ყველას ეუცხოვა მაშინ ასეთი მსჯავრი ჩვენი სცენის „ქი რისუფლებისა“, რადგან მათ მიერ მოყვანილი ს-ბ-ბ-ები ყოველად შეუწყნარებელი და უსამართლო გამოდგენ.

დღეს მთელი ქართველი საზოგადოება სიამო-ვნებით ეგებება დამსახურებული მსახიობი ქალის ოცდა ათი წლის დღესასწაულს.

ჩვენც ვუსურვოთ მას დღეგრძელი და ნაყო-ფიერი მუშაობა ქართული სცენის საყეილდღეთ.


უპუღმარტი სიყვარული.

„სიყვარული სხვა რამეა,
არ სიძვისა დასადარი...“
ეს შოთამ სთქვა, მე მსურს გამცნოთ
„სიყვარული“ სულ სულ სხვაგვარი,
მე თუმც ამ გვარ სიყვარულის
აღმოჩენით არ ექადაი...
მხოლოდ იგავს ვიტყვი ზოგზე,
რაც სიყრმით მაქვს დანაცადი:
მე ვიტობდი ჩვენში ერთ კაცს,
ცხვრები ყვდა ერთი ფარა;
„მიყვარს, მიყვარს ჩემი ცხვრები.“
იძახოდა წარა-მარა.
ზოგს არქმევდა „ბეკეკასა,“
ზოგსაც რა-და-რა სახელსა,—
აღერსით და მოფერებით
მათ უსვამდა ზურგზე ხელსა.
ბავში ვიყავ და მიყვარდა
ასეთ სურათს ვკვრეტდი როცა.
ერთხელ-კი ამ მეცხვარისა
საქციელმა გამოაცა:
ცხვრები ძირს წამოექცია,
მაკრატელით ადგა თავსა
და „მატულს კრეკდა ისე დაბლა,
რო ატანდა თითქმის ტყავსა.
მეორეჯერ მეტიც ვნახე:
ის ხან ერთ ცხვარს, ხან მეორეს
წააქცევდა, ყველებს სჭრიდა
აყენებდა სისხლის მორვეს!

მაშინ-კი ვერ მოვიტომენ,
ვითხე: მსაე რასა შვრები?!
აკი ასე იძახოდი:
„მიყვარანო ჩემი ცხვრები?!“
ამ კითხვაზე ხმა არ გამცა,
მხოლოთ მწყემსს-კი რაღაც უთხრა...
და იმავ დღეს დაივინაზე
რომ წინ ედგა სასე სუფრა;
ზედ მოხრაკულეტიც ეწყა,
წვინანებიც და შემწვრები..
აკ-კი მივხვდი, თუ რისთვისაც
ყვარებოდა პატრონს ცხვრები.

ამ გვარ „სიყვარულის“ მდა
ვისაც მსუნავ გულს უძგერებს—
კარგათ ვიცნობთ... ხოლო ვინც ჩვენ
საბუთს გვთხოვს, არ დაგვიჯერებს,
მან შეხედოს ყოფილ სულთანს,
ყოფილ შას და იმათ მომხრეს;
„ხალხი გვიყვარს,“ იძახოდენ
ხალხი კი მთლათ ააოხრეს...

ფონ-ტეფო.



„ვისაც რა ენდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი!!!
მიყვარს „უმშაქის მათაზი“
მისი ამ ქვეყნად ტრალი!

მე თქვენ გითხრათ და ყანა არ იყოს სამკა-ლი?! ჩვენი ქვეყანა ღმერთს ისეთ ვარსკლავზე გაუ-ჩენია, რომ წიათა მისთა შინა სამათრახეთა სიმ-რავლე დიდი ხნისათვის უზრუნველ ყოფილია. მარ-თალია ერთი წაფა, დღაღებუა ან მოიკვება, მაგრამ სანაცვლოდ ახალი იბადება; სწორეთ ისე, რო-გორც ამბობენ: „ერთი წაფა და სხვა მოვა ტურ-ფასა საბაღნაროსაო“.

ბუნებრივის დღითა, კანონითა და სიყვლით
ღანუტევა სული კ. თუმანიშვილის ბებია „ივე
რიაშ“! ვინ იცის, იქნებ ამაზედაც ითქვას:
„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“ო,

მაგრამ ჩვენთვის საგულისხმებო მისი სამულა-მო სიყვლილი კი არა, მხოლოდ მისი ბუნებრივ სი-ყვდილია. თუ ვისმე მეორეთ მოსვლა სწამს, მას რასაკვირველია შეიძლება მეხუთედ მოსვლაც სწამ-დეს. გაზეთი „ივერია“, როგორც ახსოვს ქვეყნი-ერებას, მესამეთ აღსდგა მკვდრეთით და არასოდეს

ისეთი მახინჯი სახე არა ჰქონია, როგორც კ თუშანიშვილის ქირისუფლობაში. განა ვინ არ ამხნევდა, რომ უპილო და მექორე ბებერს, რომელიც ცალი ფეხით მეთექვსმეტე საუკუნეში იდგა, დიდი ხნის სიკაცხლე არ ეწერა? დარწმუნებული ვართ ამას ყველა ამხნევდა, ვისაცა აქედენ თვალნი ხედვად და ყურნი სმენდ. ამას ვერ ამხნევდენ მხოლოდ ის საზოგადოებრივი, თუ პრესის ვირთხები, რომლებმაც მხოლოდ ამ მომავლად ბებრის კალთაში ამოიხუნთქეს თავისუფლათ.

იშვიათია ჩვენში ბუნებრივი სიკვდილი გაზეითისა და თუ „ივერია“ მოჰყვია ამ „იშვიათ მსხვერპლთა“ შორის, ეს პირველი და უტყუარი საბუთია მის ქირისუფალთა გონებრივ ზნეობრივი სიკოტრისა. დიახ, ბარაქალა ბებერ „ივერიას“! იშვიათია ჩვენში ბუნებრივი სიკვდილი გაზეთისა!

მაგრამ სანაცვლოდ ერთობ გახშირდა თვითმკვლელობა კერძო პირთა. ორი მსხვერპლი ასეთი „თავანწირებისა“ დღეს თვალწინ გვისვენია! ვანუსენე მათ მუღუფი, სადაცაა...

სად კი აღარ ვიცი! საქმე იმაშია, რომ ძნაიდი საცნობელია სად მოისვენებს იმათი „მოძრავი“ ბუნება და სად იგრძნობენ თავს ცმაყოფილათ? ალბათ ახალ წრეში, მათ მიერ განსახიერებულ „დრამატულ წრეში“! მაგრამ მართალია ახალი წრე გამოქექეს, სახალხო სახლშიაც დაბინადდენ, წრის გამგეობაც თავზე წამოიკვეს, მაგრამ თუ საზოგადოებრივ ხმას დაუჯერებთ, მათთვის იქაც მოიწამლა ჰაერი. თითონვე განაცხადის გამგეობიდან გასვლის სურვილი ჰაერის გასაწმენდათ, მაგრამ ახალშობილ წრეს სიანს ჯერ კიდევ ეპირებებიან. უგულწრფელი მოქმედების შედეგი ყოველთვის საჯაყათ იწენს ხოლმე თავს. ვერც სამედიატორო სამართლისაგან კუროპატინისებური ტაქტით უკან დახევა, და აგრეთვე — ვერც მედიდური კილოთი სიტყვის მიფუჩეჩება ასეთ შემთხვევებში მიზანს ვერ აღწევენ ხოლმე. ამ ქანდრაკულ მდგომარეობას თითონ ეს პირებიც გრძნობენ, მაგრამ სურვილი თვითმკვლელობისა მძლავრი ყოფილა. ღმერთმა ხელი მოუშართოს, ყველაფერს მოხერხება უნდა,

სწორეთ ისე, როგორც მავალითად „კავკასიის მეურნეთა კრებას“. სწორეთ ზეგარდმო ნიჭია საჭირო, რომ ამიერ კავკასიის სოფლის მეურნეთაგან ასეთი შედეგნილობის შეკრებულება მიიღო. ახედინახედვად, ათფალიერ-ჩათფალიერებ და გიკერს: რატომ ქვია ამ პატივცემული საზოგადოებას „კავკასიის სოფლის მეურნეთა სიგზლი“?

განა ათას წილთ შესაფერებელი არ იქნებო-

და მათთვის „ჩინოვნიკთა სიგზლი“ ეწოდებიათ? და თუ „მეურნეთა“ მაინც და მაინც აუცილებელია „ჩინოვნიკ მეურნეთა“ სახელით მაინც მოენათლათ?

ლიოგენის ფანრითაც რომ ეძებოთ, აქ სოფლის მეურნეს ვერ აღმოაჩენთ, ან კი რა უნდათ იქ მოსაქმე მეურნეებს? მართალია მოკლილობაა, მაგრამ იმათ მაინც კარგათ იციან, რომ ტყვილა ლაპარაკსა და წყლის ნაყვას, ისევ ოჯახში ბატის მწყესვა სჯობია.

და განა მარტო ამ „სოფლის მეურნეთა სიგზლზე“ მსჯელობას? ბატის მწყესვა გაცილებით სჯობია მავალითად ჰეტრეს ქალაქისაკენ სეირნობას და იქ, „სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა საარჩევნო კრებზე“ ისეთი სიტყვის წარმოსთქმას, როგორც თავად მაჩაბელს უნებებია. სასაცილოა თქვენმა ზემე, როცა ხედვად, თუ როგორის თავ-გამოდებით ცდილობს ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელი, სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე კანდიდატათ წარგზავნი ინი „მამულიშვილი“, მიიღოს „კეთილ სიმედობის“ მოწმობა თავისთვის, ი. ქავჭავაძისათვის, ქართველ თავად-აზნაურთათვის და წარმოიდგინეთ... ქართველი ხალხისათვისაც! ნუ თუ თავად მაჩაბელს ჰგონია, რომ როცა ის მარკოვ მეორეს „სახარებას უეკითხვად“, როცა ის ქართველ-თავად-აზნაურობის დროშაზე და მის წარწერაზე ლაპარაკობდა, მაშინ სწორეთ აი იმ დროს ღმერთი არ დასცქეროდა მას და არ იცინოდა? ნუ თუ არ გაუგონია პატივცემულ თავადს, ქართული ანდაზა: „კაცი ბიჭობდა, ღმერთი წინოდაო“?

სწორეთ სასაცილოა თქვენი აღსარება მე და ჩემმა ღმერთმა! თავი თუ არ გებრალბობდათ, ეს თქვენი ნება იყო, მაგრამ ი. ქავჭავაძეს რაღას ერჩოდით და თუ ილიას „ქირისუფალ დამცველად“ იგულებდით თავს, ქართველ ხალხს რაღას ემართლებოდით? სწორეთ, ქვეშაირტათ საცინელია მე და ჩემმა ღმერთმა თქვენი საქმე;

მაგრამ ას გზის საცინელია საბჭოში არჩეული ა. ერისთავის ვითარება! როგორც მოსალოდნელი იყო იმ რუმენის მექონე წოდებისაგან, რომელსედაც თავადმა მაჩაბელმა ილაპარაკა, სწორეთ ისეც ახდა. ვაზ. დროების“ სიტყვით თავადმა ა. ერისთავმა საბჭოს მემარჯვენე დეპუტატთა შორის მოიკალათა და იმედი უნდა ვიქონიოთ მარკოვ მეორესთან ერთად „ქვეშაირტა გამოთქმელი იქნება ქართველი ხალხის ინტერესებისა“. მაჩაბელმა „უკვე დაამტკიცა“, რომ არც ერთი დუმის ქართველი დეპუტატი ქართველ ხალხს არ აუარჩევია და თუ ამ ლოლიკას გა-

ვეყვით უეჭველია ზეცოდან ჩაკვივდებოდნ თავრი-
დის სასახლეში. ახლა კი ეშველა ტანჯულ სამშო-
ბლოს! სახელმწიფო საბჭოს მემარჯენთა ფრაქცი-
ის ზღუდეში ქართველ ხალხს ყავს „თავისი ინტე-
რესების ქემპარტი წარმომადგენელი“!!!

სახელმწიფო საბჭოში და იქაც მემარჯენ ფრა-
ქციაში!!!

გახიარე მამულა, შენი „წარჩინებულ წოდე-
ბა ჯერ კიდევ ცოცხალია!

„მასკა“

საეშმაკო ჰრესა.

ვგონებ არ დაგვემღურება პატივცემული მკი-
თხველი, თუ ჩვენს, საეშმაკო ამბებს, ხანდისხან
პრესიდანაც ამოვკრებთ ხოლმე. პირიქით, ეს სა-
სურველ-სასიამოვნოც არის!

ჰრესა, როგორც ლექსიონში სწერია, არავი-
თარ ბოსტნეულ მცენარეს არ წარმოადგენს. მიუ-
ხედავთ იქნა, რომ ხშირად შეზავებულია სტაფი-
ლოს სიტკბოთი, წიწქას სიმწარით, პიტნის სიტკა-
რით და ნიორის სიმყარით, ის მაინც ქაღალდია,
თეთრი შავით აქრელელებული და ჟურნალ-გაზეთობა
ეწოდება. აი ამ ჟურნალ-გაზეთებში ქეუიანი (და
ხშირად უქეუკო) კაცები ათასნაირ აზრებს გამოს-
თქვამენ ხოლმე. მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ,
უნდა ვიკრიკებო ამ ჰრესაში დი ამოვარჩიო თქვე-
ნთვის სხვა და სხვა ქევიანი პირების მიერ წარმო-
თქმული, რასაკვირველია ქევიანი აზრები.

აი მაგალითად გაზეთ „დროებაში“ რას ამბობს
მწერალი არჩილ ჯორჯაძე! აქვე უნდა აღვნიშნო,
რომ აქ დასახელებული წერილი ა. ჯორჯაძისა შე-
ეხება ქართველი ინტელიგენციის აღმოცენებას და
ქართული ენის შერყევს. მართლაც რომ საინ-
ტერესო საგანია და აი თურმე რა სასიცილო ამბა-
ვი მომხდარა. ერთ ერთ მამუნადელ (ე. ი. 1819 წლის)
ქართულ გაზეთში ერთი ასეთი განცხადება ყოფი-
ლა დაბეჭდილი:

„გორის გუბნის სოფელ დგვრისის ქმცხოვრებნი ბარ-
ძიმ მაჩაბლოვის ყმა დოჟა კვადნიძე თავის ცოლით, ვაჟით
და ქალის შვილებით, მძისწული ნინათი და ვნახით იყიდე-
ბიან იმ აა სამოცდა სამს რუბლში, რომელიც მართვებს მას
ახნაურის აბაშვილის ქალის ელისაბედისი. იმათისი გასყი-
დვის ვადა დანიშნული არს ამა წლის ნოემბრის კ. და დე-
კემბრის ე. და კ. რიცხვებში“

ვეხდი, მაჩაბლოვი, რუბლი! აქ უკვე „ახალის სტი-
ლის“ მარგალიტებია“-ო.

შენიშნავს პატივცემული არჩილ ჯორჯაძე და
განა მართლა არ ადევლებს ადამიანს ენის ასეთი
დამახინჯება?! რუბლი, მაჩაბლოვი, უეხდი!!! ოჰ,
ინტელიგენციაჲ, ინტელიგენციაჲ!

თქვენ, პატივცემულნო მკითხველნო, იქნებ
ისიც გეუცხოვოსთ, რომ 163 მანეთში ხუთ ადა-
მიანსა და ერთ ვენახს ყიდდენ, მაგრამ ეს „რუბ-
ლთან“, „ვეზდასთან“ და „მაჩაბლოვთან“ შედარე-
ბით რა მოსატანია!!! იმ სტრიქოიებში ხომ ენაც
დაცულია და ადამიანობაც?!!

ლიახ, შეიძლება * * *
„მაჩაბლოვები“ მაშინ ყმების
ერთ ოჯახს და მათ ქონებას ას სამოცდა სამ „რუბლში“
ყიდდენ, მაგრამ სამაგიეროთ ღლეს მ. მაჩაბელი (და
არა „მაჩაბლოვი“) ჩვენს სამშობლოს, საქართველოს,
სახელს უკეთებს რუსეთის ზუბრთა წინაშე. ალბათ
წინაპართა ცოდვებს ინანებს!

გაზეთ „საკავაზიეში“ დაბეჭდილია მისი საუ-
ცხოვო სიტყვა გვაპატიეთ პატივცემულნო, რომ
გაზეთში ადგილის სიმცირის გამო ვერ გვაგაბენდი-
ერებთ თქვენ მთელი თავადური „რეჩის“ მოყვანით,
მაგრამ გავგებული მკითხველი ხომ ნაწყვეტებიდანაც
კარგათ წეიტყობს, თუ როგორ გამოუკვლილან „მა-
ჩაბლოვები“, შემდგომად იმისა, რაც თავისი გვარის
მართლ წერა უსწავლიათ.

ბ.ნებო მოგვხსენებათ, რომ თავადი მ. მაჩაბე-
ლი აირჩია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურო-
ბამ სახელმწიფო საბჭოს დეპუტატობაზე ამრჩეულათ
იქ, პეტერბურგში, სრულიად რუსეთის თავად-აზნა-
ურთა კრებაზე, მარკოვა რევოლიუციონერთათ მო-
ნათლა განსვენებული ი. ქავკაძემ და ისიც კი და-
უშუბატა, რომ „მას მეფის გვირგვინისკენაც მიჰქონდა
ხელიო.“

აბა ამის როგორ მოითმენდა უკვე გამაჩაბელე-
ბული მემკვიდრე ყოფილი „მაჩაბლოვებისა“ და აი
კიდევაც წარმოთქვა:

„როკარ, განა შეიძლება დაჯგროვს ქაცმა, რომ ი.
ქავკაძემ, ღირსეული, უწარჩინებულესი „შვილი“ საქართვე-
ლოსი, წარმომადგენელი ქართველი ქთავად-აზნაურობისა, იმ
თავად-აზნაურობისა, რომლის დროშაზედაც სწერია: რწმენა
უფლისა, სიყვარული მეფისა და ჭთავადლება მამულისათვის,
მოქმედობდა ქვეყნის მოვალატებთან ერთად?“

ანგენში ბევრი იყო იმის უსაღერო, რომ ი. ქავკაძემ
ერთი სიტყვაც არა სთქვა სახელმწიფო „საბჭოში“ და ამგვარ-
რათ არ უარყო ჩვენებურ ღუმის დეპუტატთა განცხადება,
თითქუ საქართველოში, სადაც არა თუ ფაზარისი, ერთი ქა-
რხნის მილიც არ არის აღმართული, ხალხი სოციალ-დემო-
კრატული იდეებთ იყოს გამკვალული. ეს მით უფრო „სა-
მწუხაროა, რომ მისთვის არავითარ სიმწელეს არ წარმოად-
გენდა, ასეთი განცხადებით, რუსის საზოგადოებაში ქართვე-
ლი ხალხის შესახებ გავრცელებულა ხმები უარყო. მაგრამ
ი. ქავკაძემ რა ერთი სიტყვა უარს სთქვა ამის შესახებ,
ეს მე ვერ წავაბიჯო...“

რასაკვირველია თავად მ. „მაჩაბლოვს“ ეს არ
ეცოდინება და ვერც გაიგებდა, მაგრამ ქვეყანაზე
რომ ერთი მადლიანი კაცი მაინც მოიპოვებოდეს,

უთუოდ ეტყოდა მას, რასაკვირველია ჩუმით, ყურ-ში: „იმიტომ არა სთქვა, გენაცვალე, რომ თქვენ-სავეთ „შორს მჭვრეტელი და გონიერი“ არ იყო. თქვენთვის რომ ბედს ერგუნებია სიამე „მარ-კოვის მარჯვენით“ ჯდომისა, რასაკვირველია ბევრს რასმე იტყოდით, მაგრამ ი. ქავჭავაძე აბა რა თქვენ-თან მოსატანია?

თქვენს იმედებს ამ მხრივ ისევ თავადი ანდრია ერისთავი თუ გაამართლებს. დაუცადეთ ცოტა!

* *

ამგვარათ პატიცემულო მკითხველო, თუ ძვე-ლიათ „მაჩაბლოვები“ გლეხის ოჯახს 163 „რუბ-ლიათ“ ყიდდენ, დღეს ჩვენი თანამედროვე მაჩაბლე-ბი საქართველოს სახელის აღდგენას ცდილობენ, რასაკვირველია მარკოვის თვალში და რუსეთის შა-ვრავამეტაა წინაშე.

აქედან შეიძლება ვინმემ ისეთი ახირებული და-სკვნაც გამოიყენოს, თითქო ქართველი საზოგადო-ების სხვა და სხვა ნაწილებს სხვა და სხვა მუცლის ტკივილი ალაპარაკებდეს, (როგორც მავალითად დათუა კვადენიძეს და „მაჩაბლოვებს“), ან ის იფი-ქროს: მათ შორის „ხიდი ჩატეხილაო“ (როგორც ამას ი. ქავჭავაძე სწერდა), მაგრამ ვიდრე ამას იფი-ქრებდეთ, საქირაა მოუშინოთ ბ-ნი ყარიბს. გახეთი „ნაშ-კრასი“ ფელეტონში ბ-ნი ყარიბი სხვათა შო-რის აი რას მოგვითხრობს:

«რასად ვკონებ, მიღებული არ არის ისეთი სამრევლო საზოგი პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის დასადასტურებლათ როგორც ეს ქართველ ცხოვრებასა და ლიტერატურაში! ეს იმ-ტომ, რომ ჩვენი საზოგადოება არა თუ დაიყო ცალკადა კლანებათ და ჯგუფებათ, არამედ კარგა ხანია აღეს ის ხი-დებიც ამ ჯგუფება შორის, რომლის საშვალუბით ასე თუ ისე მოსაწერებელი იყო თუნდაც ოდნავი დ მოკი. აუბუღება მთ შორის.»

და მართლაც ახირებულია ჩვენი საქმე! კაცო ისე გავიმიჯნეთ, ისეთი უფსკრული გავავლეთ ერთ-მანეთ შორის, თითქო აქეთა მხრელებს, გამოღმე-ლებს, იქითა მხარეში არასოდეს აღარაფერი დასქი-რდებოდეს. ქეშმარიტებას აღნიშნავს ბ-ნი ყარიბი! ასეთი „მრევლობანა“ დიდამ მაზარალებელია, თუ მთელი საზოგადოებისათვის არა, კერძო პირთათვის და კერძო შემთხვევებში მაინც. რა ამბავია თქვენი ქირიმეთ, საცალოფხო ხიდი მაინც დაეტოვებია იმ დალოცვილებს, ვინც ასეთი უფსკრულით გაჰყო კვადენიძეები თავად „მაჩაბლოვებისაგან!“

მარეხი.

დ ე ბ ე შ ე ბ ი .

(გურიის სააგენტო)

ოზურგეთი: დეკანოზი უკეთ არის; ჯორი, რომლიდანაც გადმოვარდა დააპატიმრეს. გორგას-ლიძე—გორგასლურა გრძნობს თავს. ბაზარში, რო-გორც პოლიციის ბიულეტენი მოწმობს, არავინ გა-ულახავთ.

ბახვი. სამკითხველოს და ბანკს თავგები გაე-ფიცნენ და ოზურგეთისკენ გასწიეს.

ასკანა: ასი კანისაგან ასკანლებს ერთიც აღარ შეგვერია ისე გავაძრეს ტყაიკ და კანიც.

ბასილეოი. ფაუსტი მარჯვეთ არის, ხანდისხან კიდევ იავოვობს.

ხილ სათავა. ხიდი გუბაზოულმა წაიღო, თავი კაი ხანია დავკარგეთ, ვაპირებთ სახელის გამოცე-ლას.

ჩოხატაური. გიორგი ასათიანის მოღვაწეობის აღსანიშნათ მიართვეს მათრახი, რომელზედაც გრძე-ლი ცხვირია დახატული.

ლანჩხუთი ვის გვეყარე, ვუის შევიყარე, ქუთაინ ისევ გიუი ვერჩრია

ჩაბათი. მოგვაშველეთ სამკითხველოსთვის წი-გნები და ჟურნალ გაზეთები მღ. ბარნაბ ჯორბენა-ძის სახელზე საკითხავათ თუ არ გამოდგა ყაჭიზა გამოიყენებთ.

ჯურუჟვეოი. სირიული ეგზეკუციის შემდეგ ბლომათ გვაქვს გასასყიდი მქადი, ღოში, ლვინო ძროხა, ხარი, ღორი, ქათამი.

ჩოჩხ თი. აფთექის საკითხმა ყველა სააფთეკოთ გავგებდა. ნინოშვილის ძეგლს ვერავის დაეანებებთ. თუ ჩვენი დაუღამენ, ადგილს სასაფლაოზე იეფათ დავუთმობთ.

სუფსა (უნაგერა). „ზაგანინი“ სტუდენტ ივ. დ—ძე ენ. გურიელს პრისტაის თანამშემწეობას აძლევენ.

აგენტო ლიკლიკაძე.





ნაილუბი ეშმაკისადმი

ბათუმა. ნურას უკაცრავად ბნო ეშმაკო, თუ დღეს ბათუმის სისტუმროები ჩამოკატარო. ამას მოიხზოვს საქმის საკიროება, თორემ შენ თითოდაც იცი, რომ

სასტუმრო ორიენტალის მოსამსახურეებს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს კარტი და ნარდი. სწორეთ ამის მიზეზი იყო ივანემ და ერმილემ რომ კინალამ ერთმანეთი დაჩეჩეს. ფულის საქმე ოხერი საქმეა! ამისთანავე ისიც გეცოდინება, ძმო ჩემო, რომ ფული სხსარგებლო არსია, და ის რომ სასარგებლო არ იყოს განა ორიენტალის „ბუფეტჩიკი“ რაფელი ტყვილათ შეყლინწავდა ვიდაც უშვერიძის მიერ შვილის გასაგზავნად გადაცემულ ხუთ თუმანს?? და ვიქვით კაცი ყლინწვას არის მიჩვეული, ფული რომ კარგი არ იყოს ის უშვერიძე განა ტყვილათ ჩაჯდებოდა კარებში და დაიწყებდა ტირილს? რასაკვირველია არა. ტყვილა უბრალოთ არც

სასტუმრო იმპერიალას მოსამსახურეები იტირებდენ. სამი დღეა არაფერი უქამიათ. როცა მუშტარი ბუზიეთი ეხვეოდა და ლიონის წყალი შამპანიურათ საღებოდა, მაშინ კარგები იყენენ, ხოლო ახლა ბორშისაყ აღარ აქმევენ აღარც საქმელი აღარც ჯანსაგირი. მედიატორეში გამოსვლა უთხრეს; კინალამ სიცილით მოკვდა „რა მკოდნია თქვენნი მედიატორისია“ ერთი სიტყვით აღარ იცის კაცმა ვისთან იმსახუროს.

ფრანციის პატრონმა სრულიად უმიზეზოთ დაითხოვა „შევიკარი“ რომ ჰკითხო: რისთვის შევბი ამასო? გეტყვის: „ვიდაც რუსი კი არა ათი წლის ნაამხანაჯარს ვუქენი ხონურიო.“ ეს კიდევ არაფერი კიდევ ვაგვანძლავს: რაღა შე მომნახე,

ვერსალის პატრონი არ იცი რასა შევბაო? ის სამ დღეზე მეტს არც ერთ მოსამსახურეს არ აჩეუ ვინმემ გაუძლო და მეოთხე დღესაც შერჩა

„ხაზინს“ მის დანახვისთანავე ისტერია ემართებაო. მე ცემით მიინც არავისა ვცემ და

ზელვიუს პატრონი უნდა გენახა გუშინ წინ, როგორ ურტყამდა თავში ლადიმერს ერთი ბლულის გატეხისათვისო“. მართალი გითხრა, ძმო ეშმაკო, ვერაფერს გაიგებს კაცი აქიური სასტუმროების პოლიტიკისას. თუ არ დაგეზარება და ჩამოხვალ შენი თვლით ნახავ ათასჯერ მეტს.

ეშმაკოვკი.

ხიღისთავი ჩვენი სოფელი ყოველთვის მოწინავე იყო და დღეს რაღა ლმერთი ვაუწყებოდა? ახლაც წინა ვართ. ამ დღეებში ბაზარში კრება ვაიმართა. გასარჩევი იყო რამოდენიმე საგულისხმიერო საკითხი. აი ეს საკითხებიც.

- ა) საჭიროა ჩვენთვის სამკითხველო თუ არა?
- ბ) საჭიროა ჩვენთვის თეატრი თუ არა?
- გ) საჭიროა ჩვენთვის (ეშმაკის მათრახი) თუ არა?

პირველ საკითხზე შეიღმა ორატორმა ილაპარაკა. ამთვან ხუთი იმ აზრისა იყო, რომ სამკითხველო არ არის საჭირო, რადგან ჩვენი „მკითხავი“ ქალი ელისაბედი თავისთვის ზის საკუთარ სახლში და აქ არ წამოავაო. (მართლა, ვისაც მისი ნახვა უნდა მასთან დადის და ასეთი გონიერი აღამიანი ხიღისთავს თურქე ძლიერ ბევრი ყოლია.) დანარჩენი ორი კი ამტკიცებდა: მართალია „მკითხავი“ (მარჩიელი) ელისაბედი მისთვის ცხოვრობს, მაგრამ სამკითხველო მაინც გვეკირიაო.

მეორე საკითხზეც დიდი კამათი გამოიწვია. ბაზრის მცხოვრებნი როგორც უფრო განათლებულ განვითარებულნი ამტკიცებდენ: „კიდრე ჩვენ სულით ავათმყოფი სერაპიონ თავებრიძე გვეყვს, არა ვითარი გასართობი (და ამგვართ არც თეატრი) არ გვინდაო. ჩვენ იაიკ გვეყოფა სასიამოვნოთ, როცა ბუნების მიერ დაჩაგრულ არსებას ვაოხუნჯებთ, ვამიმუნებთ და იმისი ცქერით ვსტკებითო. მეორე ჯგუფიც (უფრო სიმღერის მოყვარული) თითქმის ამავე აზრისა იყო. მათი აზრით გასართობათ და სულიერი სიტკობები მოსაპოებლათ საკმარისია, რა-

ცა ლუკა ბოციეშვილის დანახვანე მთელი ბაზარი ლუგუნეს ბაყაყებივით დიწყებს ციყვის:

— უუუ ლუკა ხაბაკა. უუუუ ...

საზოგადოთ ორივე ჯგუფი კაცთ-მოყვარული გრძნობით არის გამსკვალული.

მესამე საკითხის შესახებ ყველანი ერთი აზრისანი იყვნენ და ერთხმით გადაწყვიტეს:

ეთხოვოს ბნ ეშმაკს მათრახი (რამდენიც კი შეიძლება) დაბა ხილისთავის კაცთ მოყვარე მოქალაქეთათვის ზურგზე დასაკიდოთ*)

ცხოვრების უკმაყოფილო.

სოფ. ქვიშხეთი ამ ნახევარი წლის წინეთ, მოხუც ლევარსი ყიფიანს საიდანღაც გადამდები სენი, — „ექიმობა“ შეხვდა, რამაც ამ ბოლო ხანებში იმდენათ სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ „წამლების“ კეთებაც კი დასჩემდა. ავთომყოფი თავს კარგათ გრძნობს, ხოლო მისი ავთომყოფობა ნამეტარი ცუდათ მოქმედობს ქათმებსა, ბატებსა და მთელს იქაურ მცხოვრებლებზე.

გთხოვთ, ძმაო ეშმაკო, მის განსაკურნავათ გამოგვიგზავნეთ თქვენი უებარი წამალი, თორემ ვინ იცის, შეიძლება ავთომყოფობამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღოს და გოჭებსაც ავნოს...

ახ.—ლი.


მიხილოვი. ამას წინეთ, ვაგონის ცეხის მანტიორმა, — ბ. დიმიტრი ტყეშელაშვილმა, რაღაც ფილოსოფიური მოსაზრების გამო, ხუთი მუშა სამსახურიდან დასათხოვად წარუდგინა დეპოს უფროსს, რისთვისაც ის წარდგენილ იქმნა პრასის მედალზე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, ბ. ტყეშელაშვილს უკვე მიუღია უმაღლესად პრასის მედალი, ზედ წარწერით: — „ერთგული სამსახურისათვის.“

კარგს იხამს ბ. ეშმაკი, თუ არ დაიშურებს და თავის მხრივაც ერთ მათრახის კულს უბოძებდეს ამ პატრიცემულ გვამს, ვინაიდან ბ. დიმიტრის „ღვაწლი,“ მუშების წინაშე მარტო ამით არ თავდება...

ახლად გაეშმაკეული.

*) სიამოვნებით წავიკითხე!

ეშმაკი.



მათრახის ფოსტა.

დაუბეჭდავი მისალა რედაქციიდან არავის არ უბრუნდება.

ბათუმში. ბნ ელიძეს, თქვენს აზრს არ შეიძლება არ დავეთანხმებოთ, მაგრამ ლექსს ვერ ვებეჭდავთ.

ბაშურბი. სანდრო პაპინაშვილს. თქვენს შესახებ მართალია ეწერა მათრახის № 23-ში „ენის დაგრძელებით არის ავითო“. ახლა, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს სულაც არა გტკივებით ენა. კარიგი და პატიოსანი! ამას რად სჯობიპ „აჰ ხომ ჩემზე საზოგადოება ფარსავს არაფერს იფიქრებსო“ ჩაგიფერიათ ფრჩხილებში. სხვამ რაც უნდა ის იფიქროს, თუ კი თქვენ მართლა ჯანმრთელი ბრძანდებით. წერილს იმიტომ არ ვებეჭდავთ, რომ არ ვიცით სამედიკატორო ასამართლომ რა უნდა გამოარკვიოს, როცა ყველაფერი გამოვრკვეულია.

მ. ზურბათი. ეშმაკის ნათესავს. სჩანს თქვენ არაერთი ნათესაობა არა გაქვთ ეშმაკებთან, თორემ იმას როგორ იფიქრებდით, თქვე დალოცვილო „ბარიშნებმა“ აფიცრები დაინახონ, (ისიც პროვინციას) და ჰკვია არ დაჰკარგონ. განა შესაძლებელიაპ ამ გვარ „ჩეფიკიანებს თუ უჩეფიკოებს“ ვერ-ვითარი „მდათახში“ გაწერა ვერ მოიყვანეს ჰკვანზე. „მგლების თავზე სახარების კითხვა“ ჩვენ არ გვიყვარს.

სამხტარღიბ. სინსილას. ჯიხაიშში გვეყავს ჩვენი კორესპოდენტები და როცა მათი სინსილა მოისპობა, თქვენს წერილებსაც დავებეჭდეთ.

ჰშირილა. გროცკოს. ვერ ვებეჭდავთ.

ბაქო. ფეიას. არ დაიბეჭდება.

ბუზბი. კირილე გუბულს. საქ რაა განმარტება.

კულაში. გთხოვთ გვეცნაოთ: ვისზე წერთ? რასა წერთ? რატომ წერთ?


იეიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე კაქვსახეობათ მსურველთ:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. 1 მ. 30 კ.
 - 2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი 2 — 50
 - 3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, — სულ 10 ნომერი ერთად შეკრული 50
 - 4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა — 20
- ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგიერად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

ქართული ჰუმბოლცისტი ბენი კაჩიბი მეტის-მეტათ ბე-
რეს ახალგაზრდა მესასანს ა. შანშიაშვილს.



(ვალ-სეცვიყ უტინ სალმდრემსაიე დავანდგარად რათაყნე)

1910 წლისათვის
მიიღება ხედის მეწერა
უთხმელ-კომიუნალ იუმთკომთულ უურნალოგი



ესე ამ თაგადნ გამთიქურს ურნაოს და მთელი წლის ფასს შემოიფინს აუვის-
დოს ბარეველი რიუსეგემი ურნაოთიან ერთით

პრამიათ გააგგავნა უნალო პრემიული

ამ კრისულში მითავსებულ იქნება: ლექსები, მითხრობები, ბუმინსტული ნაწარ-
მოქისი და სხვა. რაგორც არგინაფური ასე ნათარგმნი.

წინი 300 გვერდიანი იქნება. მოწოდებით ფორმადის და ელჩრება 1 მ.
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა წევროლები და პიეტები.

მუწავლის ფასი მთელი წლის საფულად უნდა ბუმთაბალათი ზომისბინონი კირავდ
ზედიღება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის I იანვრიდან მუწავლის გამოცემა იმე ფორმატით და იმავე ში-
ნაოსით, რადდატობა ეცდება გააუმჯობესოს მუწავლის. მონაწილეობას მიიღებენ:
სკოლა, ბილაგგემი, რასწავს-კარეული, ემშავი, ვალადგებარნი, ჟიამდეყოლები, თქრედს-
ზარეული, ასასმისა, გეტეა, დუბხიქეული, მალაქინაშვილი, ზაქარა, ტ. რამაშვილი,
რუსაძე, რუსაძეული, ტუქსაშვილი, ფოს-ტეფო, ჭუნაშვილი, შხანკლავა და სხვანი.
მუწავალი წლიურათ ღირს 5 მ. თურებათ 50 კ. ცალკე რომები 10 კ.
ფულის განოსგზავნა ჯრეცია: Тифлисъ Тинორфаи Т-ва „Промъ“

Василио Карамановичу Болжадзе.